8(05)
ম-40

মানুষ

ন. মুস্তফা

შინაარსი

მარუთა შუამდინარელი	მეჯნურის თვალებით.
კ. მაყაშვილი	ახალგაზრდა პოეტებს.
ს. აბაშელი	დათალხული ფირუზი.
ს. ფაშალიშვილი	მრწამსად.
მარიჯან	ჩემზე ჩემთვის.
ი. მოსაშვილი	ქორწილი ჩვენ სოფელში.
ი. გრიშაშვალი	ჩემს ცოლებს.
ლევ. მეტრეველი	მარჯნის სურა.
ნ. ლორთქიფანიძე	საიდუმლო.
დემნა შენგელაია	ქადაგი.
ნ. შიუკაშვილი	მთვრალი შვენებით.
მ. ბოჭორიშვილი	ღამის ფიქრი.
ჯ. ჯორჯიკია	ვარდთა საუმარი.
დ. თურდოსპირელი	ცირა.
აკაკი პაპავა	ტფილისით გამართლება.
კ. კაპანელი	სევდა და ტრფიალების იდეა.
კ. აბაშიძე	თავისუფალი შემოქმედი.
ივ. გომართელი	გრიშაშვილის პროფილი.

რედაქტორი: ი. გრიშაშვილი.

ლეილა!

D-4880

მარუთა შუამდინარელი.

მეჯნუნის თვალებით

ლეილას თავისი ბილიკი აქვს. მისი ნორჩი ფეხები შარაგზას არ არის ჩვეული.

შეიძლება იგი ცხრა წლის მანძილით დავათარიღოთ, შეიძლება ჩვენი ჟურნალი ერთი ბაჰდური თაბახი იყოს—16 გვერდათ ნაჩვენები, მაგრამ იგი 16 ასოც რომ ყოფილიყო მაინც თავისებურობას არ დაჰკარგავდა.

ქართულ ლექსს ყანდი ეპარება. ეს დეკადანსი უეჭველად მაღრიბიდან მოდის.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ჩვენ უცხო ლიტერატურას პატივს არა ვცემდეთ, პუშკინის ცრემლები „ბაღჩისარაიდან“ და შექსპირის სონეტები მაყვლისფერ ბალიშზე უსვენია ლეილას ჩაჩნაგირს. მაგრამ მე არ მინდა რომ ქართული ლექსი სხვის მარქაფად გადაიქცეს.

ქართული ლექსი, რომელიც თავისი განცდით სწვავდა შემოქმედს, დღეს ისე გაცივდა და გაფერმკრთალდა, როგორც მიტკლის ყვავილები მავთულზე ამოსული; ქართველი მგოსანი, რომლის თითებიც ანთებულ სანთლებად ელვარებდა, დღეს ნასხეისარ ძველ ხელთაომანს ატარებს.

თქმულებაა: აღმოსავლეთში ერთი მომღერალი იყო, რომელიც ყელთამდე წყალში იდგა, მაგრამ მაინც დაიწვაო! დღევანდელ პოეზიის ცეცხლით კი ერთი ჩიბუხის გაჩაღებაც შეუძლებელია. იქნება ამ ცეცხლის ყვავილებს ეპოქის საერთო ქარაშოტი აჩოფურებდეს, მაგრამ ყაზბეგის თქმისა არ იყოს: „უნდა გულს ჩამოვხადოთ მომეტებული ბარგი“ და სხარტი სიდინჯით გადავხედოთ პოეზიის ფოსოებს.

ჩვენი მიზანია: უცხო ლიტერატურაზე არა „თვალხუჭინას“ თამაშობა, არამედ დაზვერვა და შეგნებული „არული“... ჩვენ გვსურს, რომ მოხდეს დაძმობილება ნიჭსა და ტეხნიკას შორის.

ერთხელ ნიკო ლომაურმა აკაკის აჩვენა თავის ლექსთა რვეული. აკაკიმ აათვალ-ჩაათვალიერა და ბოლოს უთხრა ავტორს: „კარგია! რითმაც არის, ენასაც არა-უჭირს-რა, მაგრამ მაინც ლექსი არ არისო!“

ჩვენ ვამბობთ, რომ როცა ავტორი თავის ნაშრომს ლექსად გვაწვდის—ის ლექსი, მთელი თავისი აღნაგობით, ლექსი უნდა იყოს და არა მარტო მშრალი სტრიქონები, თუ გინდ იგი გველივითაც იკლაკნებოდეს; ერთი სიტყვით პოეზიამ ჩვენი ბუნება უნდა გააჰნაუროს როგორც იტყოდა ბატონიშვილი დავით.

ლეილას თავისი საყვარლები ჰყავს: თავისი მწერლები. ლეილას მიზანია: ნიჭის პატივისცემა, მგრძნობელობა, შაბლონის აცილება და საერთოდ აღმოსავლეთი თანამედროვე კონსტრუქტივიზმით გამიზნული.

ლეილას არ უყვარს „დარბაზობა“ და ამიტომ არის, რომ იგი მაშინ ირთვება და გამოდის სასეირნოთ, როცა საამისო ეშხია დაგროვილი.

პოეზია დახურულ ბაზაზხანაში ვერ გაივლის, მას ყაბახივით გაშლილი ადგილი სჭირია.

საადიმ სთქვა: „ლეილას სილამაზეს მეჯნუნის თვალებით უნდა შევხედოთო!“

შეიძლება ჩვენი „ლეილა“ არ იყოს ნატიფი, ჰასაკოვანი და პირზე ხრილდაფრქვეული, მაგრამ იგი ამაყად მიიმართება პოეზიის ხეივნებში და ჩვენი სურვილია, რომ მის სილამაზეს „მ ე ჯ ნ უ ნ ი ს თ ვ ა ლ ე ბ ი თ შ ე ვ ხ ე დ ო თ“.

ჯ. მაყაშვილი.

ახალგაზდა პოეტებს

საქართველო ედემია, აკვანია ხმათა:
ჩვენს ანბანსა ვით ედაროს ალფაბეტი სხვათა!
ყოვლი სიტყვა მოძრავია, თავისთავად ფასობს,
თვისით გრგვინავს, თვისით ბრწყინავს, თვისით ლაღობს, ნაზობს...
ქართულ სიტყვას სულ არ უნდა ხელოვნური პოზა —
იმას არც-კი ეგუება ენა-ჩლუნგი პროზა!
სიტყვათ წყობა მდიდარია ხმოვან მღერალ რიტმით,
თვით ჰაერი ჩვენში არის გაჟღენთილი რითმით!
რა არ ძალუძს ქართულ სიტყვას, ცოცხალსა და გრძნეულს?
იგი სწვდება სულის უღრმესს, საიდუმლო ხვეულს.
ბრძოლის ცეცხლში, ჭირში, ლხინში — ის სადაც კი გხვდება,
ხან მახვილად, ხან გოდებად და ხან კოცნად ჰხდება.
ქართველთ ენა ვერ წარხოცა ქარიშხალმა დროთა,
მზე-დარაჯად მას უდგია ლექსის ღმერთი — შოთა!
მნათობს სხივი ჩამოართვა, იმით სიტყვა ანთო,
და ეს სიტყვა სხივოსანი გვიანდერძა, გვანდო!
მიტომც მგოსნობს საქართველო, მგოსნობს ჩვენი ერი:
ლოცვას ლექსის ფრთებზე აწყობს თვით სასტიკი ბერი;
და მეფეც კი მეფობის დროს — მონა არის მუზის:
გარეშემო ღვთის რისხვაა — ის კი ლექსებს უზის!
დიდებული, გვაროსანი ხმას აყოლებს თარსა,
მუხამბაზით, გაფ-თეჯლისით ეჯიბრება სპარსსა!
გლეხი ლექსით ეგებება ყოველ ამბავს ნაირს:
ღრმა ხნულებში პურთან ერთად იგი სთესავს... შაირს!
და ზაფხულში ოდეს ოქროდ ბზინავს ჩვენი ყანა
თავთავებში წყობილ რითმებს ვერა ხედავთ განა?!
ნურას ვიტყვით თუ მათ შორის ვის აქვს ფასი, წონა —
შეხეთ, როგორ სურნელოვნობს ქართველ მგოსანთ კონა!
სხვა და სხვა გზით, და ხერხითა ყველა ეძებს ერთსა:
ცხოველ მყოფელ სულის ჩამდგმელს სილამაზის ღმერთსა!
სალამს გიძღვნით, პოეტებო, ვაშა თქვენს ტკბილ ქნარსა!
შუღლი, მტრობა ერთმანეთის წაუღიამც ქარსა!
ნუ ასცდებით იმ ნიადაგს, რუსთაველს რომ ზრდიდა
და რომელიც ჰაეროვან საქართველოს ჰქმნიდა.
უცხო მხრისკენ ნუ გიჭირავთ თქვენ მძებნელი თვალი:
ჩვენ'ში ვარდი უფრო ვარდობს, უფრო ქალობს ქალი!

Ს. ავაშელი.

დათალხული ფირუზი

ათი დღით ვისვენებ მტრედისფერ აგარაკს,
ირგვლივ ახვევია სიმწვანე ფიჭვების.
აქ გადავეჩვიე მოსაწყენ ლაპარაკს
და აქვე ვიგრძენი სიმწვავე იჭვების.

საღამოს ჩრდილები იწყებენ საუბარს.
ღრუბლები ანგრევენ მოოქრულ ვერანდებს,
ჩამავალ სინათლეს ზეციდან ცა უბერს,
ძირს ნისლი ჩასძირავს დაღალულ ფერადებს.

ვიღაცა ყოველდღე სადილზე მიბარებს,
ქალები გზავნიან ვარდისფერ ბარათებს.
და უკვირთ: ვინ არის — არავის იკარებს?
ვინ არის რომ ღამე ოთახში არ ათევს?

ვინ ეტყვის ჩემს ნაცვლად ან ვაჟებს, ან ქალებს,
რომ მე აქ უშენოთ ცრემლით ვიტვირთები...
საღამოს ჰაერში ფირუზი ჰკანკალებს
და გულში იზრდება ცისფერი ზვირთები.

ცის ფარდა მოიხსნის სხივების ყაითანს
და მთაზე დასცვივა ბროლ-იაგუნდები.
უშენოთ ხეტიალს სული ვერ აიტანს,
და ვტოვებ აგარაკს, და შენთან ვბრუნდები.

ს. ფაფალიშვილი.

მრწამსად

გაიშალენით ყვავილებო, იშრიალევით:
მაისმა მზიდან ოქროს თვალით გადმოიხედა,
გაიშალენით, დაითვერით შუქის დალევით,
სანამ თქვენს ტუჩზე მარგალიტის ნამები სხედან.
იშრიალევით ფერადებში მზის პერანგებით,
ნელის ჰანგებით — ნიავებში გადანამღერით,
სხივთა ნამქერით იშრიალეთ — ვიდრე განგებით
სუსხი არ მოვა და ქარვით არ დაიკანგებით!

შეიყვარევით ბაბუკებო, შეიყვარევით,
დასწვით ბაგენი და ამბორით ღამე ათიეთ,
აენთეთ მზეში, სული ცეცხლად აჩანჩქარევით
ყველა შეცდომა გულს შეუნდეთ და აპატიეთ.
შეიყვარევით — სანამ მოვა დრო მუხანათი,
ბედი ჯალათი — ვიდრე სახეს დააჩნევს ღარებს,
ნუ დაიზარებს გული ტრფობას — ვიდრე ღალატი
დააკლნობს გრძნობას და მკვდარ ფიქრებს გაატანს ქარებს!

იმღერეთ მუდამ პოეტებო, გრძნობით იმღერეთ,
ხალხში ისროდეთ სულს ანთებულ ჩირაღდანებათ,
შედით მზეებში, ყველა ღმერთი გადაიმტერეთ —
ძვირფას ლექსისთვის ნურაფერი დაგენანებათ.
იმღერეთ სანამ გრძნობა მოსჩქეფს ცეცხლის ალივით
და გრიგალივით სულს ატოკებთ — მზის წამწამებით —
ვიდრე არ დაგცემთ ბრბო ნალეში და ნამთვრალევი
და ქრისტესავით გრძნობის ჯვარზე არ ეწამებით!..

ᲔᲐᲠᲘᲬᲧᲐᲜ.

ᩮᩬᩬᩬ

ი. მოსაშვილი.

ქორწილი ჩვენ სოფელში

შარი ი. გრიშაშვილს.

დაუკრავს თარი. წაიქცევა სამწვადედ შაქი...
შაქრის თავს ტეხენ და პატარძალს ჰშვენის დარცხვენა...
ეკამათება უბის სუნთქვას თხელი ლეჩაქი
და მეტის ღელვით უფრო ტოკავს მკერდი მარცხენა.
პირობას ელის სარეცელი და ბაღდადიან
საბურავებით იმოსება საბნის სარჩული...
ჭიანჭველები მოუთმენლად ტანში დადიან
და თრთის სხეული საგანგებოდ შემოფარჩული.
გატყდება თეფში შესავალში და წყეილი გნოლი
ხანჯალთა რკალქვეშ გაივლიან ხელგაჭდობილი...
დედოფლის სახემ დაიფინა თეთრი მაგნოლი,
არა შორდება ქმარს — მეჯვარე და ქალს — დობილი.
მახარობელი ცხენს ჩამოხდის ბალთიან საკმაზს,
ზუზუნებს ზურნა, სუფრა ლხინობს, მოდის ხაშლამა...
ორ-ორი ჯიხვით სმენ მაყრები შუშხუნა ბაქმაზს,
გრძელი ჩაკრულა აამღერა სუფრის გაშლამა.
დამქაშებს შაბაშს მიართმევენ და განაახლებს
დუდუკი კვნესას, რომ ქეიფმა კვლავ დიდხანს გასძლოს...
დღეს ერთმანეთი უფრო უყვართ შარიან მძახლებს
და დედამთილი წამ-და-უწუმ ეხვევა სასძლოს.
მოკვდება ღამე... გაუწყდება ჰანგი სანთურებს,
ჯვარდაწერილებს გააპარებს დედა ნეფისა...
ლოთი თამადა მოწყენილად თავს აკანტურებს
და მაყრებს ძილი მოერევათ გათენებისას.
სძინავს სუყველას და ორს გარდა ყველა კარშია,
მტევნის კუნწულა იმარცვლება ვნების ბადაქში...
და ტალღებს არხევს სარეცელზე ზეწრის არშია.
გადახლართულა რქაზე ვაზი... თოვლზე — ბადახში...
და პატარძალი გაურკვეველ ტკბილ სიზმარშია.

ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲐ ᲨᲐᲕᲘᲚᲘ.

ᩮᲔᲛᲡ ᲪᲝᲚᲔᲑᲡ

მე არ ჩამოგთვლით თქვენ სათითაოდ.
იკმარეთ მხოლოდ ეს სათაური.
დე, ისტორიამ მერე იდაოს —
ასტყდეს კალმების აურზაური.

მშვენიერებო! თქვენ არა ერთხელ
აღმინთეთ სულის ალმაცერობა.
მაგრამ ვერ ვპოვე: ლეილა, გრეთხენ,
უცხოა თქვენთვის მგოსნის სერობა.

ლეილა — ენების ამომშანთავი!
გრეთხენ — სინაზის უცოდველობა!
რითმამ სტრიქონში დაიხჩო თავი —
ველარ შეიძლო თქვენი მცველობა.

მინდა დაგტოვოთ ყველანი ერთად
და მოგახალოთ ერთ დღეს უარი!
მოსაწყენია სჯა მშვენიერთა,
საწოლი. ენება. ექსესუარი.

ლამაზ ღალატით გული ივსება:
თქვენც გაგათხოვებთ, თქვენც ქმრებს გაჰყვებით.
ერთში ვერ ვნახე ყველა ღირსება
და მინდა ნაკლი შევავსო სხვებით.

ო, ჩემი ქცევა ვის გაარისხებს!
ვინ გადმომიგდებს ხელთათმანს მძაფრად!
არ დავეძებდი თქვენში ხარისხებს,
ვანაწილებდი გრძნობას თანაბრად.

ვფიქრობდი. ხსნა კი ვერ მომეგონა.
„ათასერთ ღამეს“ ვფურცლავდი, ეშლიდი.
ახ, რად არ გახდით ერთეულ კონად,
ახ, რად არა ვარ გარუნ-რაშიდი?!

თქვენ არ ატარებთ ჩემს ფსევდონიმებს —
გეთაკილებათ ცოლობა მგოსნის.
თუმც სათითაოდ ირიგებთ სიმებს
და ტუჩს ნატუჩარს სუყველა ჰკოცნის.

ო, თქვენი ხელის ნაძერწავიდან
ჩემს წიგნს ამშვენებს ჩუქურთმა ბევრი.
მაგრამ რაც იყო... მორჩა! წავიდა!
ღვინის ჭაშნიკმა გაბზარა ქვევრი.

თუმც თქვენთან ვრჩები ნაწილობრივად
ვით მარგალიტი ქვებში გდებული
მაგრამ მე მაინც ვითვლები ქვრივად,
მე: ჩემს ტალანტზე შეყვარებული.

ლევან მეტრეველი.

მარჯნის სურა

მარჯნის სურას დავეწაფე, შენს მარჯნის სურას.

იქ ნადული მარგალიტი მსურდა შემეტკბო. მაგრამ მოვსტყუვდი, ვით სტყუვდება ყველა მწყურვალი.

ფერად ნათალი კოხტა სურა ცარიელი დამიხვდა და მწყურვალზე მწყურვალი დავრჩი სახტად მოტყუებული.

ნუ თუ არასდროს არ აღვსილა იგი და მარად ცარიელობდა?

ან იქნებ აღვსილი სხვამ გამოსცალა?

შენ გაწითლდი?

ძლივს ველირსე შენგან ერთხელ ხმამაღლა პასუხს...

ნ. ლორთქიფანიძე.

საიდუმლო

დიდ ხანს ველოდდი ბარათს. ვითმინე, რაც შემეძლო. ეხლაც არ მივწერდი, მაგრამ ამ უტყვ და ჩუმ ბუნებაში ყველაფერი მუსაიფობს და თითქოს დამცინის, მეტყველო, შენ რალას სდუმხარო?

მთაც კი, მოწყენილი, უტყეო და უბალახო, მთაც, დილ-დილაობით ჩრდილს საიდუმლო ბარათად უგზავნის თოვლით მოჭედილს, პირმცინარეს, წერწეტს, მაღალ მთას.

წერილად გაგზავნილი ჩრდილი შეხვდება ბრჭყვიალა მძივებს მეორე მთისას, ფერი ეკარგება, მხიარულდება და უკან-უკან იხევს. მოწყენილი, უტყეო და უბალახო მთა გადიყრის სევდას; ფერფლიანს მწვერვალს ღიმი გადურბენს სახეზე.

შევსცქერი და მეხარბება.

ვაკვირდები და ველარ ვითმენ.

მე თვით ვიწყებ წერას. დაწერილს ვხევ.

დავდივარ. ვტოვებ ოთახს.

ფუნებლიეთ კვიპაროზს უახლოვდები და ზღაპრულ დალაქივით ჩავფუჩუნებ:

— ორ სულთა საიდუმლო ვიცი, მე ვიცი ორ სულთა საიდუმლო. შენ ცისკენ წაიღე, მიწაზე არ დასტოვო ორ სულთა საიდუმლო.

— მე შენზე უკეთ ვიცი ორ სულთა საიდუმლო,—დაცინვით ზევიდან მეუბნება მთვარე.

— მე შენზე უკეთ ვიცი ორ სულთა საიდუმლო,—ნაზის ღიმილით მეუბნება დინჯად მიმცურავი ღრუბლის ნახევი.

— შენ კი, დიდო მუხავ, ბერი-კაცო, შენ ხომ არ იცი ორ სულთა საიდუმლო?—შეშინებული ვეკითხები მუხას.

ბევრი რამ, ბევრი საიდუმლო მინახავს, გამიგონია, მაგრამ მავიწყდება: ყოველს წელს, ყოველს ჩემს ფოთოლს თან მიაქვს მიწაში ათასი ამბორის ხმა, ფიცის სიტყვები, თან მიაქვს სურათები იქვით გაბოროტებულის სახისა და სიყვარულით აღგზნებული თვალებისა. მაგრამ ყველაფერი იმარხება მიწაში, სუდარად ჩემი ფოთლები ეხვევიან გარს და ლპებიან ფოთოლთან ერთად უკანასკნელი მოწმეები. გარკვევით აღარაფერი მახარებს: ერთმანეთში ირევა ვაჟი, თრითინა, ბავშვი, კოდალა, დედოფალი და კრავი... აი შარშან ამ ძირს ეწვიენ... ქალი მაისის დილა იყო; ვაჟი შემოდგომის საღამო; ქალს თოვლის ფიფქი გამოკრთოდა; ვაჟს ნისლი ეხვია. მე ხელს უწყობდი: უფრო დავბურავდი შტოებს, პატარა ყლორტებს გვირგვინად ვადგამდი თავზე, ფოთლებს ვაკრიდი მხრებზე... ერთმანეთს ერიდებოდნენ... უხმოდ ისხდნენ. ვაჟი სტკბებოდა ქალის მშვენიერებით; ქალი კი ჩემს ფოთლებს მაისში მწვანეს,

ოქტომბერში ყვითელს, სწიწკნიდა ხელში... მკრთალი სურათი ღა დამრჩა ხსოვნაში. უკანასკნელი დამჭკნარი ფოთლები ნოემბრის ქარბუქმა მომტაცა, და საიდუმლოს წვრილმანები მათ წაიღეს.

— მათდა დასაფარავად ჰბურავდი ტოტებს, გრეხდი გვირგვინად ყლორტებს, ფოთლებს აყრიდი მათ მხრებზე; ჩუმი სხივები მაინც ძერებოდნენ შენ შტოთა შორის; საიდუმლო, ორ სულთა საიდუმლო მეც ვიცი... ვიცი. ეშმაკურის ღიმილით, დაცინვით ჩამოგვმღერა მთვარემ.

— საძაგელი ქმნილებაა ეს მთვარე! ჯაშუში! ერთგვარის გაფაციცებით დაჰყურებს უმანკო, მოკრძალებულ სიყვარულს და გარყვნილების ქარიშხალს. ზიზღით წარმოსთქვა მუხამ.

მე შეშინებული ვიყავ, ვაი თუ მაჰანკალმა, ჭორიანმა მთვარემ წმინდა საიდუმლოს რაიმე დაუმატოს მეთქი.

ღრუბლის ნახევი უკვე დაეშვა და გაძარცულ მუხის შტოებს აბრეშუმის ქსელად შემოედვა.

— განა აქ იყვნენ? მოვდევ და დღემდე მათი ამბავი ვერ გამიგია. მოვდევ, დავინახავ და ისევ დამეკარგებიან. ჩრდილოეთში, მოვკარ მათ პირველად თვალი. იქ სიცივე ერთმანეთს აშორებს ადამიანებს; მაგრამ თუ ერთმანეთისადმი იგრძნეს სიყვარული, ეხვევიან ერთმანეთს, ეკვრიან, არ შორდებიან. ბუნების სუსხს თითქოს ებრძვიან სიყვარულის ალით. ესენი კი იქაც, იმ ცივს ქვეყანაში ერთმანეთს შორი-შორს უდგნენ. რატომ? მგონი ეშინოდათ, ალერსით დავწვავ და მერე რაღა მეშველებაო!.. მერე აქეთკენ წამოვიდნენ. ქალის ნატერფალზე ჩუმი ბზა ამოდიოდა, ვაჟისაზე — მოწყენალი ნაძვი. ისე ჩქარა მოდიოდნენ, რომ მიმემალნენ. ნეტა ეხლა კი სად არიან?

— სად არიან? — გაგვიცინა მთვარემ, — აი მანდ თქვენს გვერდით. უყურებთ და არაფერი გესმით. მე გიამბობთ ნამდვილ ამბავს... ვაჟმა ველარ მოითმინა შორი-შორს ცქერა და მუდმივი ტანჯვა. ერთ მზემხიარულ დღეს კრძალვით ხელი მოჰკიდა ქალს. ქალის მშვენება გაიშალა სრულად. ასრიალდა თვალები; აელდა ლოყები; დანაზდა სახე; თეთრმა კბილებმა გამოსცა შუქი; გაეშალა ტევრი თმა; თითები ისრებივით გაითალა; დაირხა ვერხვის ფოთოლივით ტანი; სხეულმა მოჰკრიბა მზის მთელი სხივები.

ორი სული ერთ სულად შეიქმნა. ქალი უეცრად გამოირკვა და გაიქცა. ნეტარება ისე დიდი იყო, რომ მიწამ, დედა-მიწამ ქვეყანას აღარ დაუტოვა — დააღო პირი და სამუდამოდ გულში ჩაიმარხა... მხოლოდ ვაჟი.

ქალი უკანვე გამოქანა. გველაშაპი — მიწა პირს უკვე ხურავდა. ქალის მხოლოდ ფეხები ღა დარჩა ყელში ხარბ ცხოველს.

ქალი ხედ იქცა. იგი ხე მაძინიაა — **Mimosa pudica**. დღე გაიშლება: იგი გახარებულია; მზის სხივებს ჰკრებს მიჯნურისათვის; ღამე კი მოწყენილია, ჩუმად არის, შეკეცილი აქვს ფოთლები. ჩვენ გვგონია, სძინავსო; იგი კი ემუსაიფება მიწაში მყოფ მიჯნურს; აწვდის მზის სხივებს, უთბობს სამარეს. ამიტომ არის, თუ ვინმემ ხელი შეახო მაძინიას, მაშინვე შეიკუმშება, ფოთლებს შეიკეცს; სხვა მოტრფიალე არ სურს: იქ, მიწის ქვეშ, ჰყავს სამარადისო საყვარელი. დღე მისთვის არის მხიარული, რომ ღამე მხიარულების ნაყოფი მას გადასცეს.

დღე იმიტომ არის ისე ლამაზი, სურნელოვანი, რომ სავანე დაუმშვენოს საყვარელს.

— ნეტა ვაჟი კი როგორ ცხოვრობს იქ, ცივ სამარეში? — იკითხა ღრუბლის ნახევმა.

— ცივი რად ექნება სამარე, როცა თავზე სათაყვანებელი მაძინია ადგია; როცა სატრფოსაგან მოელის სითბოს, როცა სატრფოს იმედი აქვს სხვაზე არ გასცვლის! — დაცინვით გასცა პასუხი მთვარემ. მთვარის ღიმილმა გააპო ღრუბლის ნახევი და შემოედვა გაძარცულ მუხას.

— მაძინია, როგორ არის შენი სატრფო? დავეკითხე მე თვითონ. ხმა არ გამცა.

— არ იცი?! არც გინდა გაიგო? იქნება გაჰქრა თვით სიყვარული. — დაჟინებით ვეკითხებოდი მაძინიას.

* *

მსურდა ჩვეულებრივი ბარათი მომეწერა. აქაური ამბების მოყოლას არ ვაპირებდი; მსურდა გულის კარი გამეხსნა; შიგ წაიკითხავდი ჩემის არსების ბოროტსა და მართალს. ზღაპარი კი გიამბე. იქნება ამან უფრო გაგართოს. როცა შინაარსი მოგაბეზრებს თავს, დაუკვირდი ზღაპრების ელფერს, მათ სულს: შეიძლება მასში ჰპოვო ორ სულთა საიდუმლო.

დემნა შენგელია.

ქადაგი

(ხუმანიდან „ანანურთან“ XV კარი.)

უეცრად გალავნის იქით შეიქნა ჩოჩქოლი.
მითქმა-მოთქმა...
ხალხი აირია:
— ფეფელო მოდის, ფეფელო ქადაგი!..
ყველა გზას უთმობდა კაბა აკარწახებულ ფეხშიშველ დედაკაცს, რომელიც მიემართებოდა ეკლესიისაკენ.
დაემხო ეკლესიის კარებ წინ და ლოცულობდა დიდხანს, გულში მუშტს იცემდა, მოსთქვამდა შემზარავად.
ზარდაცემული ხალხი გასნატული უცქერის.
ცეკვა-თამაში შეწყდა. ყველა ეკლესიას მოაწყდა.
მხოლოდ შორს, სოფლის გზაზე მოისმის მთვრალების: „რანუნი“.
— ხალხნო!.. ხალხნო!..—გააპო ჰაერი მისმა კივილმა.
მესერზე მიბმულ ცხენებმა თავები ჩაჰკიდეს: იგრძნეს ავდრის მოახლოვება.
სადღაც გრგვინვა მოისმა.
ელვამ გრეხა დაიწყო ცაში.
ბნელდება.
— ხალხნო!.. რა გეშველებათ, თქვე უბედურიშვილებო!.. რა გეშველებათ!.. წუხელის ღვთიშობელი გამომეცხადა და მამხილა, რომ დედა-მიწა მაკეა უმტერთა-უმტერით!.. დედამიწა დედა კი არ არის ჩვენი,—ცოფიანი დედალი მგელია, რომელიც თავისიანე ლეკვებს თვითვე სჭამს!.. ვაი თქვენ, ხალხნო!.. სანავარდო დაბერწდა!.. უმტერი მოსპობს სანავარდოსო,—წერია ეფუთში!.. ჭინკები და მავნეები დაეუფლება სანავარდოსო,—ამბობს კარაბადინი!.. დედაკაცების საშო დვრიტასავით არის გამომჭკნარი, მაჭიკიკით არის გამხმარი, რომლითაც დედაკაცები ყველს ადედებენ. ვაკეები უნაყოფონი არიან, როგორც საჭურისები!.. ვაი თქვენ ხალხნო!.. ძერას ჰკითხეს:—შვილები გირჩევნია თუ ორი თვის წყალუსმელობა?..—წყლის უსმელობაო!.. ჯორსა ჰკითხეს:—შენ რაღაო?—უშკილობაო!.. თქვენთვის არავის უკითხავს და რამ დაგაბერწათ ასე?!. ეფუთში სწერია: როდესაც მზე მარტის ოცდაერთს შევიდეს პირველსა ხარისხსა ვერძსა, წლისა მფარველი იყოს მარეხი ლომითურთ, რომელიც სახლია მზის!.. იყოს ყელის ტკივილი, დურბლის ქარები, ხველება და მკერდის ტეხვა!.. ციებით ლოგინათ ჩავარდეს ხალხი!.. გამრავლდეს ავადმყოფობა მანდილოსანთა და უშვილობა!.. ეევედრენით უფალსა გიხსნათ უმტერთა-უმტერისაგან!.. ვაი თქვენ, ხალხნო!.. შავი დღეები მოგელის შენ!.. დედაკაცები ქვას ჰშობენ და შვილს კი არა!.. გაცოფდა სანავარდო და ჩვენ ბუშები ვართ მისი. მავნე სულების მარულა გაჰენდება სანავარდოში!.. თავს უშველეთ!.. მოახლოვდა ჟამი მეორეთ მოსელისა და დედათა გოდება დააყრუებს ზეცას, მამათა ვაება გაპობს დედამიწას!.. მეუფე უმტერი მობრძანდება თავის ამალით!.. არული თქვენ, წყეულებო!.. ვაჲ ვაჲ, ვაჲ,—ჰკივის ფეფელო ქადაგი, პირიდან დორბლს ჭრის, ბუქნავს და უჩანს მზისგან დამწვარი კუნთები.
შიშის ზარი იპყრობს ყველას.
ხალხი შეშფოთდა.
უეცრად ქადაგი დაეცა მიწაზე და დაიწყო გრეხა თავგასრესილ გველის წიწილივით.
დედაკაცები სტირიან და პირჯვარს ისახავენ.....

ნ. შიუკაშვილი.

მთვრალი მშვენებით

ოდეს მივარდნილ სადმე მთის წვერზედ ნისლთა, კლდე-უფსკრულ და ულრან ტყეთა სამეუფოში გამეღვიძება,

როს გარიჟრაჟის შემკრთალ ბინდბუნდში უკანასკნელი ვარსკვლავი ჰქრება და განთიადის ფრთა-ნაკრავ ცაზედ მხოლოდ ცისკარი საცეცხლურივით მზის აღსავლის კარს წინ მოუძღვება...

ოდეს დღე-ღამის გაყრის ბურუსში იქ—სადღაც ქვევით—შორს თხელი ნისლის ქსოვილ მანდილს ქვეშ ალაზნის ველი გადამეშლება, —ზღაპრად ქცეული მისი მშვენება სიზმრად, ზმანებად მომეელინება, —

ოხ, მაშინ!...

მილეულ გრძნობას ცრემლი ერევა, ამ ნეტარებას ვერ იტევს მკერდი!

მთვრალი ვარ მაშინ—მთვრალი მშვენებით და ბედნიერი, როგორც რომ ღმერთი!..

* *

ოდეს გადახსნილ, ტურფავ, გულ-მკერდზე ვნება-მიხდილი დაგტრფი, ვლოცულობ, ქანცმილეული აღფრთოვანებით ღვინისფერ ტუჩებს ვეამბორები და შენ-კი ვნებით მთლად ჩაფერფლილი იცინი, სტირი, სულში მიძერები მთა, ზღვა, ხმელეთი, ცა-დედამიწა, მთელი სამყაროს მშვენება შენ ხარ!—

და მაშინ!...

მილეულ გრძნობას ცრემლი ერევა, ამ ნეტარებას ვერ იტევს მკერდი!

მთვრალი ვარ მაშინ—მთვრალი მშვენებით და ბედნიერი, როგორც რომ ღმერთი!...

ვიხ. ბოჭორიშვილი.

ღამის ფიქრი

გარეთ: თოვლია და ქარი.

ოთახში: მთრთოლვარე ხელი ატირებს ჭიანურს.

მოულოდნელად გაწყდება სიმი და ფიქრების დამბლა შეიპყრობს მოხუცს.

საშინელია მარტოობა ზამთრის ღამეში, როდესაც ფანჯრის მინებს აწყდება ქარი.

ძნელია თმაშევერცხლილისათვის მოგონება იმ დროის, როდესაც ყოველ ნაკვთში მაჯრობდა ჟინი.

ავხორცი იყო იგი და ვნებიანი, როგორც გიორგი ლაშა.

იგონებს—როგორ სწვავდა ხალისიან დღეებს.

იგონებს—ქალებს მის მკლავების რკალში, რომ ითევდნენ უმანკოების პირველ ღამეებს.

ეხლა დადაღულია იგი ურწმუნო დროით.

აღარავინ ჰყავს თანამეცხედრე.

ძნელია მისთვის მარტოობა და ბნელი ღამე.

აკვიატდა მზაკვრული აზრი.

შვილი?

ჰყავდა თუ არა?

ვეღარ ისვენებს მოხუცი.

ჰყავდა თუ არა?

მტანჯავ ფიქრებში იცრიცება უძილო ღამე.

იქნება ჰყავდა? მოუკვდა კიდეც და არვინ იყო დამტირებელი?

დაეცა ცივ ლოგინზე და აქვითინდა...

მეზობლებს შემოესმათ გმინვა ამაზრზენი

და როდესაც შეეკითხნენ ტირილის მიზეზს—

უპასუხა: მაპატიეთ მეგობრებო! ვტირი შვილს, რომელიც შესაძლოა არც კი მყოლია.

ჯაჯო ჯორჯიკია.

ვარდთა საუბარი

ლამაზმა ასულმა ქორფა ვარდი მოსწყვიტა.

ვარდის ხავერდივით ფოთლების სურნელება გრძნობას ატკბობდა, ათრობდა.

ლამაზმა ვარდს ამაყად გადახედა და სთქვა:

კარგი იქნებოდი, ვარდო, რომ სილამაზეს მალე არა ჰკარგავდე!

მაგრამ ბედნიერი იმითი ვარ, რომ სილამაზესთან ერთად სიცოცხლეც მეცლება! — უპასუხა ქორფა ვარდმა.

დ. თუარდოსპირელი.

ცირა

ქალთა სასწავლო კლასი გულისტანია... ყაბახია მშვენიერებისა... აღმოსავლელ ხელოვნის ჯადოსნური ოცნებაც კი ვერ წარმოიდგენს უკეთესს ჩანჩქერს ღაღანა ყვავილებისას.

კლასში ცისმარე დღე ჰხდება. სასწაული. წლების განმავლობაში მოწაფე უსახო გოგოცუნაა, მაგრამ გათენდება მისი გაზაფხულის დილა და იგი გარდაიქმნება მომხიბლავ ცირად.

ასეთი დილა ყოველდღე თენდება. ხან ერთი სწყვეტს ბავშვობის არტახებს და იქცევა მშვენიერების დედოფლად, ხან მეორე.

მასწავლებლის თვალი მიჩვეულია ამ სასწაულებს... არ აღძრავს მასში საამო განცდებს ასეთი აფეთქება ნორჩი სიცოცხლისა... მისი სული ისევ დამძიმებული ორიანების წერის ცოდვებით, რომ არ უეშხებს ოცნებას ეს ზღაპრული მოვლენები.

სერგოც ასეთ მასწავლებელთა ჯურისა იყო. მდორედ მიტბორავდა მისი ცხოვრება, რომ ერთხელ ანაზდად არ აეფართქალებინა მისი გამტვერიანებული გული ერთ ცირას.

ცირა ზარმაცი იყო. ონავარი. გაკვეთილებს არ ამზადებდა. სერგოც ორიანებით უმასპინძლდებოდა.

ახლაც გამოუძახა... რა თქმა უნდა ცირას არა სცოდნია გაკვეთილი... მაგრამ... ცირას ცქრიალა თვალები ისეთის ეშხით და სასოებით გამოიყურებოდნენ, რომ სერგოს შემოალხვა გულიეობის ყინული... იგრძნო ჯერ აროდეს განცდილი ტკბობა.

მოიხიბლა... მოიხიბლა სერგო და „წაწყნდა“... ხუთიანი დაუწერა...

აპირთავდა სერგოს გული სიყვარულის განუცდელ ტანჯვის სამსალით, თუმცა უხაროდა ეს ტანჯვა.

ყოველთვის, როცა კლასში შეეიდოდა, ცირა ედგა თვალ-წინ და სწვავდა ტრფობის ხანძარში.

თვითეული გამოხედვა ცირასი ჟრჟოლასა ჰგვრიდა, სცდილობდა არ შეემჩნიენა და რადგან ვერ ახერხებდა—სრულიად არ იხედებოდა მისკენ.

ახლაც მეორე კუთხეს მიაპყრო თვალი და მოჰყვა გაკვეთილს:

— ...ბევრი ღმერთები ჰყავდა წარმართულ საქართველოს... ბევრს შეუმჩნევლად ახლაცა აქვს ფესვი გამდგარი ქართველთა სულში: არმაზი... გაცი... აინინა... ცირ...

წამოსცდა ცირას სახელი და მყის პირს შეეყინა...

გაცბა...

კუდრაჭა მოწაფეებს არა გამოეპარებათ-რა...

ჯერ ადრევე ჰქონდათ გუმანი აღებული...

ახლა ყველაფერი გამოაშკარავდა...

მიუხვდნენ ხვაშიადს...

თქარ-თქარი ასტეხეს...

სერგო ამის შემდეგ აღარ შესულა კლასში.

კარლო კაჭარავა.

ტფილისით გამართლება

თუ სხვებისათვის საკმაოდ დაბერდა იპ. ტენის მეთოდი ხელოვნების ახსნისათვის, ჩვენთვის ის კიდევ კარგახან გამოდგება. განსაკუთრებით მისი „გეოგრაფიულ კლიმატიური“ თეორია... არ შეიძლება სხვა გვარად აიხსნას ასეთი ჭარბობა პოეტებისა, ჩვენში რომ არის. ყოველ ქართველს კარგა ხნით აწვალებს პოეტური პოტენცია და ვინაიდან ჩვენ არსებითად ღრმა არა ვართ, არამედ ფერადი, ადვილად მოდის „ხსნა“ ამ წვალებიდან, თავისუფალ რითმებში გადასვლა. ტენი მაინც მადლობის ღირსია: ჩვენი გეოგრაფია ნაირობით მდიდარია და სფინქსების სიცხე, ნირვანას ზანტი ძილი, დამპალ სიმწვანის ჭაობები, სცვლიან მთის ჰაერს, მყინვარებს, ფიორდების ყნოსვას, ალპის იებს და ნაძვებს, ნაძვებს... და სულ პატარა სივრცეზეა ეს ფერადი ხალიჩა გაშლილი, ჰავა კილომეტრებზე კონტრასტებით სუნთქავს. და ყველა ამის საიდუმლოება მზეა, რომელიც ასე უყვარს, ჩვენს პოეტებს, მაგრამ თვალს ვერ უმაგრებს. ამიტომ სიბრძნე მზის, სიღრმე მისი ცეცხლეულობის ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ფერადობა მისი სხივების, ჩვენში ყვავილებზე და ამქართა ფერად დროშებზე და მათ სირმიან სარტყელებზე რომ თამაშობს, ჩვენს პოეზიას გზას ნათელით უფენს. და როგორც ის ქმნის ამ უცნაურ ფერთა ცახცახობას ქართულ ჩუქურთმაზე, ისე ჩვენს პოეტს აშლევინებს ფერად რითმებს, ლამაზ ორნამენტიკას. ბევრნაირია მისვლა საიდუმლოების გახსნისათვის, რაც მეცნიერებას, რელიგიას და ხელოვნებას აწევს და ხერხემალს ულუნავს. მათში ყველაზე მტკიცე პირველია, მაგრამ დინჯია და ჩვენ გვაშინებს. ყველაზე თამამი და ამაყი მესამეა და ჩვენც მას გავყევით. მაგრამ მეცნიერებას ვერ დავუნათესავეთ, ვერ შევაჯახეთ... ამას გიოთე სჭირია და თუ გერმანელობა არა, ინდოგერმანელობა მაინც. ჩვენ ფესვები აღმოსავლეთში გვაქვს, რომლის მეცნიერება ნირვანისებურია და ნახევრად პოეტური. იქ შეჯახება არაა. იქ ჰარმონიაა. ნიცშეს ბუნტარობა და „ნება ძლიერებისადმი“ აღმოსავლეთს და ჩვენ გვიტაცებს, მაგრამ არ გაგვგმირავს. თუმცა ზარატუსტრა სპარსელია, მაგრამ უფრო პოტენციით, რადგან ნიცშეს ფრაკი ეცვა და გახამებული საყელოც ჰქონდა. ჩვენ ვერ დავაჯახებთ მეცნიერებას და ხელოვნებას და ერთად მიგვყავს ის. ასე იყო ძველ ქართულს მწერლობაში (ინდოეთ-სპარსული ლიტერატურის გავლენის ხანა) და ასე დარჩა დღესაც, იმ განსხვავებით, რომ ფილოსოფია ხელოვნებაში მიჰქრა, მისუსტდა, მაგრამ ფორმა და ეგზოტიკა თვით ხელოვნებითი გამოთქმისა უფრო ინტენსიურია.

და დღეს ქართული პოეზია უფრო ამ ფორმების და ფერადების მელოდიაა... ის შორდება ოდნავ აღმოსავლეთის კოლორიტს, მაგრამ ვერ ეთვისება დასავლეთის ფილოსოფიურ აზროვნებას—მეცნიერებასთან შეჯახებას. რელიგიასთან კი ჩვენს პოეზიას მუდამ (თუ შორეულ სასულიერო პოეზიას არ ავიღებთ) მცირე კავშირი ჰქონდა... ამიტომ, თუ დღეის ქართული მწერლობა საკმაო ნათელს დასტოვებს, ეს იქნება მარტო მისი უხვი, ფერადი და მზიური ფორმებით გამარჯვება. და ჩვენ მას შევიყვარებთ, სანამ არ დაგვიდგება ის დრო, როცა ჩვენ ,,საშინელებით ვრწმუნდებით, რომ უკვე ველარ ვგრძნობთ სილამაზეს‘‘ ამას ვინკელმანი ამბობს თავის კერძო წერილში რომის ახალგაზრდა აზნაურის ფრიდრიხ ფონბერგისადმი· ვინკელმანმა იცოდა ელინიზმის ძალა, მას ესმოდა სილამაზე—გიოთეს განმარტებით უფრო ექსტაზით, რადგან მისი სული უფრო ელინური იყო და ის სავსებით შევიდა ელინიზმში. დიახ, დადგება ხანა ჩვენის ცხოვრების, როცა ველარ ვიგრძნობთ ამ მშვენიერების ძალას და შევშფოთდებით ერთბაშად. მაგრამ ვიდრე ახალგაზრდანი ვართ და ჯანსაღი ინსტინქტი ზვირთობს, ჩვენ მას მივიღებთ ნერვებით, შევისვამთ სისხლში... და ვფიქრობთ, რომ აღმოსავლეთის ღრმა, მელოდიურ ფილოსოფიას დაშორებული და დასავლეთის ბუნტარულ და ბოლოს კი უფრო პოზიტიურ ფილოსოფიამდე ვერ მისული, ჩვენი მწერლობა მაინც გამართლებულია ქართული უხვი ბუნებით, ძველებური სიმღერით და უფრო ფერადის ფორმებით.

და ამ ახალ ფორმებზე მუშაობს დღეს ქართული პოეზია. და ტფილისი მას გაამართლებს ძველის თარებით, ქუჩაბანდებით, ჰამქრებით და ოქროს ქამრებით. და ტფილისის სული ამართლებს ახალ თქმას „მოშხამულ ყვავილებზე“, კაფეებზე და კოლომბინებზე... ტფილისი ყოვლის შემძლე; ძველი, მზიანი, ამტანი და გამტანი...

კ. კაპანელი.

სევდა და ტრფიალების იდეა

წუთისოფელი, სისხლით აფერადებული და ძვლებით მოკენჭილი სასაფლაოა მშვენიერებისა და დიდების. ქვეყანა იმედების და ღმერთების დიდი პათოსის — ქვეყანა აღთქმათა და ძიებათა დაცარიელდა.

თუ ოდესმე ამ მუდამ მოუწყობელსა და უთავბოლო წუთისოფელში უნუგეშო იყო ყოფა ადამიანისა, ჩვენს საუკუნეში, განსაკუთრებით იდეოლოგიურ ნანგრევებზე, ადამიანი ისე მარტოა, ისე საცოდავი, როგორც ლამანჩელი რაინდი სიერრა-მორრენის ხეობაში თავის დამტვრეული ფარ-ხმალით.

შორეული ბრგვინაობით ისმის ტლანქი ძახილი ჭლექით დაავადებული საუკუნეებისა: ირაციონალის რყევა რელიატივიზმით ავსებს სამყაროის დაუსრულებლობას: დაღრეჯილი სახეები სოკრატისა და კანტის ერთმანეთს განცვიფრებით უყურებენ სხვადასხვა კუთხიდან; ადამიანის სულს ჩამოჰკიდებია დაუკმაყოფილებელ სურვილთა შურისძიება, როგორც სასირცხვო ნაგლეჯები ძველი ტანისამოსისა. კაცობრიობის დოცენტურ გაპრანჭულობას ნისლით ჰბურავს პლანეტარული ქაოსის აორთქლება.

ვინ მოვა? ვინ დაამშვიდებს ადამიანის მღელვარე სულს წუთისოფლად? ვისი თვალებიდანაა, რომ იყურებიან სახეები სავსე მარადიული მშვენიერებით? ვინ არის იმედის განსახიერება ცრემლებისა და სევდის უდაბნოში? ვის შეუძლიან შეკუმშოს მარადობა წუთისოფლურ განცდაში?

— მხოლოდ ქალს, რომელიც ნახევრად ქალია და ნახევრად კაცის ოცნება: სწორედ ამიტომ ყველა დროის კეთილშობილ ვიზიონერებთან ერთად ჩვენ ვეტრფით მარადიულ ქალურობის იდეას — სინაზისა და სისათუთის განსახიერებას: ფიამეტას, ლაურას, ბეატრიჩეს, ლეილას; ჩვენ ვეტრფით გულის დამას, — იაკობ ბემეს იუნგფრაუს და არა ალდონსას და თარაქანას.

კ. აბაშიძე.

თავისუფალი შემოქმედი

არაჩვეულებრივის გზით და ტემპით მიმდინარეობს თანამედროეობა; მას აქვს საკუთარი სიტყვა, თავისი სტილი, დამახასიათებელი ფორმა. კოლექტივიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ: კოლექტივიზმი შემოქმედებაში, კოლექტივიზმი ყველგან და ყველაფერში. პიროვნება მივიწყებულია.

ჩვენი მწერლობა ასცდა ამ საერთო ფერხულს. იგი დაუბრუნდა თავის თავს, თავის მეს: ინდივიდუალიზმის, სულიერ კარჩაკეტილობის პრინციპის აღიარებამდე მივიდა. ეს ადვილი ასახსნელიც არის: ჩვენი ლიტერატურა ორგანიულად არ არის დაკავშირებული ეპოქის ქარიშხალთან. იგი სდგას თავის პოზიციაზე და გვიმტკიცებს: ხელოვანი იყო და იქნება დამოუკიდებელი, თავისუფალი; ჭეშმარიტი შემომქმედი მარტოა ყოველთვის; მას არავის დახმარება არ სჭირდება.

მე არ მიკვირს, რომ კოლექტივიზმის ხანაში ჩვენში „ლონდა“ და „გარსი მარადი“ იწერება. პიროვნების უარყოფის ჟამს პიროვნება აყვანილია უმაღლეს მწვერვალამდე.

საერთოდ კი დამახასიათებელი შტრიხები თანამედროვე ქართული ლიტარატურისა ისევ ბედის ცდა და უმეტეს შემთხვევაში უბედობა არის: წუთიერი აღტყინება, ხალისი, თავდავიწყება და შემდგომ კვლავ სისუსტე, სიცარიელე, უიმედობა; მწვერვალებისკენ მისწრაფება და მწვერვალის ძირში უნუგეშო მოთქმა; შორეულ ნაპირისაკენ ლტოლვა და ნაპირის ვერ გადალახვა. ერთის სიტყვით არის ძიება, მისწრაფება, ცდა ბედისა და ნაწილობრივი მიღწევაც. მაგრამ ჯერაც არ მომხდარა ქართული სიტყვის ბოლომდე გაშლა, გადალახვა იმ ჯადოსნურ წრისა, რომელშიაც დიდი ხანია მოქცეულია ჩვენი ლიტერატურა. შესაძლებლობა თავის დახწევისა კი არის: მაგრამ არა კოლექტივიზმის გზით. ჭეშმარიტი ხელოვანის ერთად-ერთი გზა იყო, არის და იქნება თავისუფალი შემოქმედების პროცესი.

ივ. გომართელი.

გრიშაშვილის პროფილი

ტანმორჩილი და მკვიდრათ შეკრული, სანდომიანი და მარილიანი.

მშვიდი და წყნარი, თავდაბალი და უწყინარი.

თავდაჭერილი და თავაზიანი, დარბაისელი და ზრდილი. ენა-ტკბილი და ენა-გესლიანი.

უბრალო--მიხვრამოხვრაში და წყნარად მოსიარულე, მუდამ თავის შიგნით მზირალი.

პირველის შეხედვით თითქოს ცივი, ანგარიშიანი, მაგრამ მუდამ შინაგანი ცეცხლით აგიზგიზებული და წმინდა სიგიჟემდე გატაცებული.

ტკბილად მოსაუბრე და ცეცხლის მფრქვეველი, ნაზი და ტლანქი.

განვითარებული და ველური, ევროპიელი და აზიელი. მუდამ კი ტფილისზე შეყვარებული.

ქართული სიტყვის მხატვარი და ხუროთმოძღვარი,— აი გრიშაშვილი.

ქართულ სიტყვაში მან აღმოაჩინა ახალ-ახალი სილამაზე, გამოჭკვერა, გამოჭკვეთა და მორთო ფერად სამკაულებში.

გრიშაშვილის სიტყვა ხან სევდიანი, ხან მხიარული, ხან გულ ჩათხრობილი, ხან უდარდელი, ხან ტკბილი, ხან შხამიანი, ხან თვინიერი, ზოგჯერ კი გიჟი, მუდამ კი სიყვარულის ცეცხლით აგუგუნებული და სისპეტაკით თვალის მომჭრელი.

სიყვარულს სამშობლო არ გააჩნია; ის ყველგან არის, ყველასთან,—საკაცობრიო გრძნობაა.

სიყვარულის ტახტზედ დადაფნილი გრიშაშვილი კი უაღრესად ეროვნული მგოსანია: იმის ყოველ სტრიქონში, ყოველ სიტყვაში ქართული სურნელებაა, გრიშაშვილი ქართული სიყვარულის ტარიელია.

გრიშაშვილს უყვარს ასეთი დისონანსები: უნაზეს გრძნობათა გვერდით ბებუთი და სისხლი.

იმიტომ რომ ამგვარია თვითონ ტფილისი: ინით შეღებილი თითები და მანიკჲური, პარიზის მოდა და ჩადრი, ოპერა და შახსეი-ვახსეი.

გრიშაშვილი ხომ ტფილისის პირწავარდნილი შვილია:

„მიყვარს ტფილისი! ირაკლივით მუდამ მშფოთარი!
„და მსურს, აქ მოვკვდე, რო მისი მზე სწვავდეს ჩემს კუბოს!

გრიშაშვილმა იცის ევროპის ფასი, მაგრამ თავის ტფილისს ის არავის დაანებებს. ევროპა მასში ტფილისს ვერა ჰკლავს; ტფილისიც არ ავიწყებს მას ევროპას.

ევროპა ტფილისში,—აი მისი სურვილი.

„მსურს ევროპა გარდავქმნა მე ტფილისის უბნებათ“.

ზოგჯერ გრიშაშვილი გაუგებარია: მისი ლექსის ევროპიული სურნელება მიგიზიდავთ და უცებ თავს წაადგებით აზიელს ბებუთით ხელში. იმიტომ რომ გრიშაშვილში გაორებულია პიროვნება.

„ჩემში ორი გრძნობაა, ორი ენამჭევრობა, —
„სინაზე და სიტლანქე, ტფილისი და ევროპა,

გრიშაშვილი ძველი ტფილისის რომანტიკოსია, ერეკლეს ტფილისის.

შეითანბაზარი, ნარიყალა, შუშაბანდები, ვიწრო ქუჩები, ყარაჩოღელი, კინტო—აჩრდილებივით ამოდიან გრიშაშვილის სტრიქონებში: ძველი ჰამქარი გამოჩნდება ქუჩაბანდში და წინ მიუძღვის უსტაბაში მოფარფარე მზის ყალამქარით. ისმის ზურნა, დილის საარი.

გრიშაშვილს „არ ასვენებს საქართველოს დარდი და ბოლმა“ (ტ. II, გვ. 103) და ფიქრი წამოშლის ხოლმე იმის ოცნებაში წარსულის სურათებს.

მაგრამ მარტო ამის გამო არ უყვარს გრიშაშვილს ძველი ტფილისი: იმის ბუნებაში არის ყარაჩოღული თავისებურობა, დარდიმანდობა, ლამაზი სიტლანქე.

აზიეღია გრიშაშვილი გრძნობით, ბუნებით, მაგრამ მისი გონება ევროპისაკენ იხედება.

„მიყვარს ლექსის სიცხარე — თემა აღმოსავლური —
„მაგრამ მუდამ მაღელვებს მე ევროპა სწავლული.

გრიშაშვილი რითმის თავადია. მას ერთობ ეადვილება რითმებთან თამაშიც, მათი ხმალში გამოწვევაც და ყოველთვის გამარჯვებული რჩება.

რითმების წალკოტში არა ერთი და ორი საუცხოო ყვავილი დაურგავს და კიდეე ბევრს დარგავს.

რითმათა თავისებურსა და თავისუფალ ფერხულში გრიშაშვილი იშვიათია. მისი რითმა ხან ქალიევით ნაზია, ხან ვაჟივით ძარღვმაგარი, ხან მშვიდი და ხალისიანი, ხან კი მქუხარე და ცეცხლის მფრქვეველი, მაგრამ მუდამ ელვის სხივებში დაფერილი და ქალწულის რძით ტანაყრილი.

გრიშაშვილი შეუდარებელი რაინდია სიყვარულისა.

„ერთი უჩნდეს სამიჯნურო,
ერთსა ვისმე აშიკობდეს,
ყოვლსა მისთვის ჰხელოვნობდეს.
მას აქებდეს მას ამკობდეს,
მისგან კიდე ნურა უნდა,
მისთვის ენა მუსიკობდეს".

გრიშაშვილის სტიქიონი სიყვარულის ზღვა არის ხან დაწყნარებული, ხან მღელვარე და აზვირთებული, მაგრამ ერთფეროვანი არ არის, რადგანაც მისი სიყვარულის ზღვა უძირო არის და მისი ფერადები — უთვალავი.

სიყვარულის ზღვამ გრიშაშვილში ჰპოვა თავისი ღირსეული მხატვარი, რომლის ყოველი ნახაზი ჩვენი გულის უნაზეს სიმებს ტკბილად არხევს და ათრთოლებს.

„მე ტფილისმა შემამკო, მე ტფილისმა შემბარდა".

გრიშაშვილი უტფილისოდ შეუძლებელია, ისე როგორც ტფილისი წარმოუდგენელია ამას იქით უგრიშაშვილოდ.

გრიშაშვილი ფაფარაყრილი გატაცების, ყოვლად კეთილშობილი ახალგაზრდობის მგოსანია, გარედან მშვიდი, შიგნით კი მუდამ მოუსვენარი, გარედან წყნარი, შიგნით კი მუდამ მღელვარე.

სადაც ახალგაზრდობაა თავისი ცეცხლით, გატაცებით, სიყვარულით, სიგიჟითა და წშინდა სევდით. იქ გრიშაშვილი მუდამ იქნება სანატრელი თამადა.

გრიშაშვილის პოეზია ხან შუადღის ენებიანი სიცხეა, ხან მთვარიანი ღამის ოცნება, მუდამ კი თავისებურია, გრიშაშვილური.

გრიშაშვილში მუდამ მეცხადება ჯალათი კეთილშობილი მრიხანებით აღჭურვილი, რომელიც მტკიცეთა სდგას თავის სადარაჯოზე...

P-34880

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა სამართველო

ა ც ხ ა დ ე ბ ს

სამეურნეო-სამასალო სამსახურის შენობაში (ტფილისი, ვაგზლის ქ. № 1). 1924 წლის იანვრის 15-ს დღის 12 საათზე დანიშნულია

წერილობითი საჯარო ვაჭრობა

საჭიროა აჯიქაბულის სადგურისათვის, რკინის რეზერვუარის შეკრება ტევადობით 130,000 ფუთი და დადგმა გამზადებულ ფუძეზე.

რეზერვუარს ესაჭიროება შემორკალვა, შეკეთება დახურვა და განწესრიგება ქვაბის საჭურველის (არმატურის), საქვაბო ყველა მუშაობის შემდეგ ნავნავის (страпила) დაყენება, და მოწყობა ლარტყებისა რკინის სახურავისათვის; აგრეთვე შავი რკინით სახურავის დაფენა და რეზერვარის შეერთება მთავარ გეზის მილთან. (სასრუტავი 6'''—დაახლოებით 70 ფ. და წნელი 5''-იანი დაახლოებით 450 ფ.)

ყველა სამუშაო უნდა სწარმოებდეს საკუთარ იარაღებით, მასალება ამიერ-კავკასიის რკინის გზის.

მსურველებმა უნდა გამოგზავნონ წერილობითი განცხადებები 1924 წლის იანვრის 15-ისათვის, არა უგვიანეს დღის 12 საათისა დახურულ და დაბეჭდილ კონვერტებით შემდეგი მისამართით: **სამეურნეო-სამასალო სამსახურში.** ან-და ეს განცხადება ჩაუშვან განსაკუთრებულ ყუთში, რომელიც გამოკიდულია სამსახურის მისავალთან:

განცხადების კონვერტზე უნდა წააწერონ:

„1924 წლის, იანვრის 15-ს დანიშნულ კონკურენციისათვის სადგურ აჯიქაბულზე რკინის რეზერვუარის შეკრებაზე და დადგმაზე“.

ვრცელი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 10—2 საათამდე სამეურნეო-სამასალო შენობაში, ოთახი № 81.

ამიერ-კავკასიის რკინის გზათა მართველობა

ამით აცხადებს, რომ სამეურნეო-სამასალო სამსახურის შენობაში (ტფილისი, ვოკზალის ქუჩა, № 1) თებერვლის 7-ს შუადღის 12 საათზე

დანიშნულია

ღია-ლიციტი საჯარო ვაჭრობა

შემდეგი ნივთების განკვეთილ ფასებში შესაძენად: **სალესავი** და **ზუმფარა** ქვები ს. ... ოთ. რიცხვით 114 ცალი; **ბილიბუურა** (шплинт) სხვადასხვა ზომის 649.000 ცალი; **სანთურაებიბ** (горелка) 5''''-იანი და ლრუბლიანი, რომელნიც უშუშებოდ ინთებიან—10,000 ცალი; **რეზინის ტილო** და **რეზინი** 94 ფუთი; თითო გირვანქიანი ნაბეროვანი **საპონი** 5.000 ფუთი. **სანდალოზი** (лак) სხვადასხვა ნაირი 80 ფუთი. ამასთანავე მართველობა იტოვებს უფლებას მოაბეჭდოს და გადადგას ბიჭვსა რაოდენობა შესაფერთ საკნებში, ავიღოს აქეს უფლება ეკანსეს ჭრა ბირს ნაწილთა მთლიანად და ნაწილობრივად.

ამ საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უცილობლად 1924 წლის თებერვლის 7-ს არა უგვიანეს 12 საათისა უნდა შემოიტანონ წერილობითი განცხადება დაბეჭდილ კონვერტებში შემდეგი მისამართით: სამეურნეო-სამასალო სამსახურში ამგვარ წარწერით:

„**საკონკურენციოდ** 7 თებერვლისთვის დანიშნულ სხვადასხვა მასალების მომარაგებისათვის“. ან-და ეს კონვერტი ჩაუშვან საგანგებოდ გამოკიდულ ყუთში სამსახურის შენობის მისავალთან.

ზემორე მოხსენებულ ნივთების ღირსებაზე მსჯელობისათვის უეჭველად საჭიროა **ნიმუშების** წარდგენა. ვრცელი ცნობის მიღება, დაკვეთის პირობების განხილვა და აგრეთვე ნივთების სპეციფიკაცია შეიძლება ყოველ დღე გირდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—12 საათამდე. **ტფილისში** სამეურნეო-მატერიალურ სამსახურის ოთახში № 86 და 89.—და **მოსკოვში** სადოვია-სპასკაია, 25, ოთახი 4. რკინისგზის წარმომადგენელ **კონსილოვთან.**

524/58

~~ფასი ეგვსი ფაურ.~~

ტფილისი. 1924 წ. = სტამბა პოლიგრაფსკოლისა, განოვის, 3. = მთავლიტი 957. ტირაჟი 1500.